# სპეც. ტანსაცმლის ტექნიკური დახასიათება

**<u>მამაკაცის სამუშაო შარვალი (ზაფხულის):</u>**

**მასალა**-ქსოვილში ბამბის შემცველობა არანაკლებ 60%, ქსოვილის სიმჭიდროვე არანაკლებ 235გ/სმ$^2$ . შარვალი სწორი, ჩაშვებული, წინა ნაწილზე დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს ტოტის გარშემო მიკერებული აქვს 3სმ-იანი სიგანის მანათობელი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე, ჯიბის კანტი შესრულებულია სხვა ფერის ქსოვილით, ჯიბე იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები ჯიბე, ჯიბეს აქვს სხვა ფერის სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით), შარვლის ქამარი 4სმ-ია, ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით, აქვს 5 საქამრე. შარვლის ტოტი ბოლოში იყოს გაშვებული, რეზინის გარეშე. შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით და ღილკილოთი.

**<u>მამაკაცის სამუშაო ქურთუკი (ზაფხულის):</u>**

**მასალა**-ქსოვილში ბამბის შემცველობა არანაკლებ 60%, ქსოვილის სიმჭიდროვე არანაკლებ 235გ/სმ$^2$ . ქურთუკი შეკერილია ლურჯ ფერში, ზედა ნაწილის ბოლოში დაკერებულია 3სმ-იანი მანათობელი, ზედა ნაწილზე წინ დაკერებული აქვს ორი ჯიბე, მარცხენა ჯიბეზე მიკერებული აქვს გამჭირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად, ქვედა ნაწილში აქვს ორი დახრილი ჯიბე, ასევე შიდა ორივე მხარეს აქვს ჯიბე. შუა მკლავზე აქვს 3სმ-იანი მანათობელი, მკლავებზე ბოლოში გავუკეთოთ რეზინი, ასევე ქურთუკის ბოლოში ჩავაყოლოთ რეზინი. ქურთუკი იკვრება ელვით და ფხრიწით, ზურგზე კომპანიის შესაბამისი ლოგოთი.

**<u>მაისური:</u>**

მაისური პოლოს სტილში, სწორი სილუეტის, ლურჯი ფერის, გადაფენილი საყელო იკვრება 3 ღილზე, სახელო მოკლე, მარცხენა მხარეს აქვს ერთი ჯიბე, საყელო შესრულებულია სხვა ფერში. ზურგზე აქვს კომპანიის შესაბამისი ლოგო.

**<u>დასუფთავების სამსახურის წინსაფარი:</u>**

წინსაფარი-კაბა, გვერდებზე შესაკრავი ღილებით, ორი ჯიბით, კომპანიის შესაბამისი ლოგოთი.